ბიოლოგიურად აქტიური დანამატის გამოყენების ინსტრუქცია

ალპიკოლი საწუწნი ტაბლეტები

(Alpikol® lozenges)

შემადგენლობა:

შავი დიდგულას ნაყოფის ექსტრაქტი (Sambucus nigra L.) სტანდარტიზებული 10% პოლიფენოლური ნაერთებით, შეიცავს პოლიფენოლებს, ფლავონოიდებს, A, C და B ჯგუფის ვიტამინებს, ბეტა-კაროტინს, პანტოტენის მჟავას, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და სხვა ნაერთებს, რომლებსაც აქვთ ბიოლოგიური აქტივობა. შავი დიდგულას ნაყოფის ექსტრაქტი ხელს უწყობს იმუნიტეტის გაუმჯობესებას სეზონური გაცივების დროს და სასუნთქი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. მას აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები თავისუფალი რადიკალების განეიტრალების უნარის გამო, იგი იცავს უჯრედებს ოქსიდაციური სტრესისგან.
ექსტრაქტს აქვს ანთების საწინააღმდეგო ეფექტი, ამიტომ გამოიყენება გაცივებით მიმდინარე და რესპირაციული დაავადებების დროს. შავი დიდგულას ნაყოფის ექსტრაქტს ასევე აქვს ტკივილგამაყუჩებელი, მატონიზირებელი, ანტივირუსული, სიცხის დამწევი, ამოსახველებელი, დამამშვიდებელი თვისებები, იგი ასევე ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას.

Yestimun® არის 85% 1,3/1,6 ბეტა-D-გლუკანით სტანდარტიზებული მაღალი სისუფთავის ბეტა-გლუკანი, რომელიც მიიღება საფუარა სოკო Saccharomyces cerevisiae-ს უჯრედის კედლის ექსტრაქციის გზით. Yestimun® ხელს უწყობს იმუნური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და ზედა სასუნთქი გზების ჯანმრთელობას, აფერხებს ბაქტერიებისა და ვირუსების უარყოფით გავლენას ორგანიზმზე. ბეტა-გლუკანი ავლენს ანტიოქსიდანტურ ეფექტს თავისუფალი რადიკალების განეიტრალების უნარის გამო, იგი ასევე ხელს უწყობს ენერგეტიკული ცვლის შენარჩუნებას.

თუთია (თუთიის სულფატი) არის მიკროელემენტი, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის უჯრედების, იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, ცილებისა და დნმ-ის სინთეზისთვის, იგი იცავს უჯრედებს ოქსიდაციური სტრესისგან.

აქტიური ინგრედიენტები რეკომენდებული სადღეღამისო რაოდენობით	1 საწუწნი ტაბლეტი	2 საწუწნი ტაბლეტი
შავი დიდგულას ნაყოფის ექსტრაქტი (Sambucus nigra L.) პოლიფენოლების ჩათვლით	300 მგ 30 მგ	600 მგ 60 მგ
Yestimun® ბეტა-გლუკანი	37,5 მგ	75 მგ
თუთია	1.5 მგ	3 მგ

შემავსებელი: ერითრიტოლი; შავი დიდგულას ნაყოფის ექსტრაქტი (*Sambucus nigra L.*) სტანდარტიზებული 10% პოლიფენოლებით; შემავსებელი იზომალტი; საფუარა სოკო *Saccharomyces cerevisiae*-დან მიღებული Yestimun® ბეტა-გლუკანი სტანდარტიზებული 85% 1,3 /1,6-ბეტა-D-გლუკანამდე; შავი მოცხარის ნატურალური არომატიზატორი; შემავსებელი გუმიარაბიკი; სიმჟავის მარეგულირებელი - ლიმონმჟავა; კოშტების საწინააღმდეგო აგენტები - ცხიმოვანი მჟავების მაგნიუმის მარილები; საღებავი ანთოციანინის წითელი, თუთიის სულფატი, დამატკბობელი - სტევიოლგლიკოზიდები.

გმო-ს გარეშე. ნატურალური ინგრედიენტებით, კონსერვანტების გარეშე.

გამოყენების რეკომენდაციები: შეიძლება რეკომენდებული იყოს როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დამატებითი წყარო სეზონური გაცივების დროს იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად. მას აქვს ზოგადი გამაძლიერებელი თვისებები.

არ წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას.

გამოყენების წესი და რეკომენდებული სადღეღამისო რაოდენობა: 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები - 1 საწუწნი ტაბლეტი დღეში. 12 წელზე მეტი ასაკის ბავშვებსა და მოზრდილებში - 1 საწუწნი ტაბლეტი ორჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

გაფრთხილება: არ გამოიყენოთ პროდუქტის რომელიმე კომპონენტის მიმართ მომატებული მგრძნობელობის შემთხვევაში, ორსულობის და ძუძუთი კვების დროს. შეიცავს პოლიოლებს, რომლების ჭარბმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს საფაღარათო ეფექტი.

გამოყენებამდე რეკომენდებულია ექიმთან კონსულტაცია.

დიეტური დანამატი არ უნდა იქნას გამოყენებული როგორც სრულფასოვანი დიეტის შემცვლელი.

არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ სადღეღამისო რაოდენობას.

გამოშვების ფორმა: 20 დაპრესილი საწუწნი ტაბლეტი პოლიმერულ კონტეინერში, 1 კონტეინერი მუყაოს შეფუთვაში.

შენახვის პირობები: ინახება მშრალ, სინათლისა და მზისგან დაცულ ადგილას არა უმეტეს 25°C ტემპერატურაზე. ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

მწარმოებელი: გრეგორ-კრავჩიკოვსკი გჟეგოჟ, პოლონეთი

წარმოებულია: ალპენ ფარმა აგ-სთვის, ბერნი, შვეიცარია